განმარტებითი ბარათი

„სურსათის დანაკარგების და სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნა მთელ მსოფლიოში ფუნდამენტური პრობლემაა. მსოფლიოში ადამიანის მოხმარებისთვის წარმოებული სურსათის 14% - დაახლოებით, 400 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქტი - არ მიდის მომხმარებლამდე და იკარგება ღირებულებითი ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე[1]. ამავდროულად, 2019 წელს დაახლოებით 931 მლნ. ტონა სურსათის ნარჩენი დაგროვდა, რომელთაგან 61% წარმოიქმნა ოჯახებიდან/შინამეურნეობებიდან, 26% - სურსათის მომსახურების ობიექტებიდან, 13% კი - სარეალიზაციო ქსელებიდან. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლიოში წარმოებული სურსათის 17% იფლანგება (11% - ოჯახებში/შინამეურნეობებში; 5% - სურსათის მომსახურების სფეროში; 2% - სარეალიზაციო ქსელში)[2].

2020 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალური ნარჩენის წარმოქმნის მაჩვენებელი საქართველოში წლიურად 261.1 კილოგრამია, მათ შორის მნიშვნელოვანი წილი უკავია ბიოდეგრადირებად (სურსათის/ცხოველის საკვების) ნარჩენებს[3]. მაშინ, როცა სურსათის მნიშვნელოვანი ნაწილი იყრება, საქართველოს მოსახლეობის 17,5% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.[4]

---

[1] FAO. 2019. The State of Food and Agriculture 2019. Moving forward on food loss and waste reduction. Rome. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO. Available at: http://www.db.zs-intern.de/uploads/1571119050-2019FAOFoodWaste.pdf

[2] United Nations Environment Programme (2021). Food Waste Index Report 2021. Nairobi. Available at: https://www.unep.org/resources/report/unep-food-waste-index-report-2021

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021. გარემოს სტატისტიკა. https://tinyurl.com/mw7xee3d

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი. https://tinyurl.com/3v69vxzv

სურსათის დანაკარგებსა და ნარჩენების შემცირებას ესადაგება მდგრადი განვითარების მე-12 მიზანი - გონივრული მოხმარება და წარმოება. ამ მიზნის ფარგლებში, საქართველოსათვის მისადაგებულია მხოლოდ ამოცანა 12.8 - „2030 წლისთვის, საქართველოში მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ". თუმცა აღსანიშნავია, რომ მე-12 მიზნის სხვა ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება სურსათის ნარჩენებსა და დანაკარგებს: კერძოდ, 12.3 ამოცანით დაგეგმილია 2030 წლისთვის მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე სურსათის ნარჩენების განახევრება გაყიდვისა და მოხმარების დონეზე და წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვებში სურსათის დანაკარგების შემცირება, მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგების ჩათვლით.

სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნა მრავალგანზომილებიანი პროცესია და მოიცავს როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. ამდენად, სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირება და ამ პროცესის სწორი მართვა ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ასევე სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ევროპული ქვეყნების (იქნება ეს საფრანგეთი, ბელგია და იტალია, როგორც სურსათის შეწირულობის წახალისების გამორჩეული მაგალითები, თუ ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნები, სადაც სხვადასხვა სახის მოწესრიგება/მექანიზმებია სახეზე) საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ამ სფეროში მდგრადი მოდელის შექმნა მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოსთვისაც, თუმცა მოქმედი სამართლებრივი ნორმები სათანადოდ ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. ვინაიდან საქართველოში არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო მოწესრიგება სურსათის დანაკარგებისა თუ ნარჩენების მართვისა და სურსათის შეწირულობის წასახალისებლად, საქველმოქმედო ორგანიზაციებიც მეტწილად შესყიდული სურსათით უმასპინძლდებიან ბენეფიციარებს და მიიჩნევენ, რომ მიწოდებული საკვების რაოდენობას გაორმაგებენ, თუკი შეწირულობის სახითაც მიიღებენ სურსათს[5].

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი 2021 წლის თებერვლიდან აქტიურად მუშაობს დასახელებულ კანონპროექტზე. ამ პერიოდში ჩატარდა შეხვედრები HORECA-ს სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე, არასამთავრობო, საერთაშორისო თუ

[5] FAO. 2019. FOOD RECOVERY AND REDISTRIBUTION. A practical guide for favourable policies and legal frameworks in Europe and Central Asia. Available at: https://www.fao.org/uploads/media/Food_recovery_and_redistribution_guide.pdf

საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებთან. 2022 წლის 22-28 აგვისტოს კი, საქართველოს დელეგაცია სტუმრობდა საფრანგეთსა და ბელგიის სამეფოს, სადაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ არსებულ მიდგომებსა და პრაქტიკას. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა როგორც სამთავრობო სექტორთან, ისე სურსათის ბანკებთან, ასევე, სურსათის დანაკარგების სფეროში მომუშავე კერძო კომპანიებსა და ევროპის სურსათის ბანკების ფედერაციასთან.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „სურსათის დანაკარგების და სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი იქნება პირველი, რომელიც ინიციირდება მასზე ჩატარებული რეგულირების ზეგავლენის შეფასებისა და გენდერული ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შედეგების გათვალისწინებით[6].

შედეგად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობითა და ადგილობრივი ექსპერტის ჩართულობით, მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიზანია სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ ეტაპზე სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოშობის პრევენცია და შემცირება, ასევე, სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ამჟამად საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს და წაახალისებს სურსათის შეწირულობას. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიზანია „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის და მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება“ (მუხლი 1, ნაწილი 1). ამდენად, სახელმწიფო კოდექსით პრიორიტეტს ანიჭებს სურსათის უვნებლობის კონტროლსა და მისი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, და არა სურსათის მარაგების მართვისა და ეფექტიანი

[6] შენიშვნა: ამ ანგარიშებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მითითებულია განმარტებითი ბარათის შესაბამის ნაწილებში

გამოყენების შესაძლებლობებს. ნარჩენების მართვის კოდექსი კი, არეგულირებს ნარჩენების მართვის სფეროს და მიზნად ისახავს, „ხელი შეუწყოს ნარჩენების პრევენციას და მათი ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას.“ კოდექსი განიხილავს სურსათის ნარჩენების მართვის საკითხებსაც, თუმცა სურსათის ნარჩენი ცალკე განმარტებული არ არის და შედის ბიოდეგრადირებად ნარჩენებში. კოდექსი ბიოდეგრადირებად ნარჩენებს განმარტავს შემდეგნაირად – „ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო“ (მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი). კოდექსი ითვალისწინებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის დაგეგმვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებას; ამასთანავე, განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებას, შეიმუშაოს ნარჩენების მართვის 15-წლიანი ეროვნული სტრატეგია, ასევე, ყოველ 5 წელიწადში ერთხელ - ნარჩენების მართვის 5-წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა და ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია. ეს უკანასკნელი ჯერ-ჯერობით არ შემუშავებულა.

კანონმდებლობის ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში არ არსებობს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების რეგულირების კონკრეტული პოლიტიკა. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტებია, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვას, პრევენციას, შემცირებას, გადამუშავებასა და გადანაწილებას. ისინი კონკრეტულად არ ეხება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვას.

რაც შეეხება საგადასახადო რეგულაციებს, ფისკალურად, სურსათის შეწირულობა არახელსაყრელია ბიზნესისთვის. სუპერმარკეტები უარს ამბობენ ზედმეტი საკვების გაცემაზე, რადგან შემოწირული საკვები იბეგრება დღგ-ითა (15%) და მოგების გადასახადით (18%). აღსანიშნავია, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეღავათსაც: კერძოდ, მოგების გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაში საქონლის მიწოდება საქველმოქმედო ორგანიზაციაზე, არაუმეტეს მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ისა (საგადასახადო კოდექსის 98[3] მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ისეთი ჩარჩო დოკუმენტის არსებობა, რომელიც დაადგენს ძირითად მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებსა და თამაშის

წესებს სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის სფეროში და ხელს შეუწყობს მათ აღდგენასა და შეწირულობას, ნაცვლად გადაყრისა. საქართველოს კანონი სწორედ ის ნორმატიული აქტია, რომელიც ადგენს სახელმძღვანელო სავალდებულო პრინციპებს კონკრეტულ სფეროში და აწესრიგებს ჩართულ მხარეთა ძირითად უფლება-მოვალეობებს. ვინაიდან ნარჩენების მართვის კოდექსის მიზანი მეტწილად არის ნარჩენების შემცირება და გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავება და ის არ გამოყოფს სურსათს პრიორიტეტის სახით, მიზანშეწონილია დამოუკიდებელი კანონის მიღება და სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის ფუნდამენტური მნიშვნელობის დეკლარირება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად:

- საკანონმდებლო დონეზე განიმარტება ისეთი მნიშნველოვანი ტერმინები, როგორიცაა: სურსათის დანაკარგები, სურსათის ნარჩენები, სურსათის შეწირულობა, სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია (სურსათის ბანკი) და სხვ.;
- განისაზღვრება სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვასა და სურსათის შეწირულობის პროცესის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები/უწყებები;
- შეიქმნება სამართლებრივი საფუძველი საგადასახადო შეღავათების დაწესებისათვის;
- სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირება და სურსათის შეწირულობა იქნება წახალისებული.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი, რომელიც სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მართვის ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს, 6 თავითა და 14 მუხლითაა წარმოდგენილი.

— კანონპროექტის I თავის პირველი მუხლი მისი რეგულირების სფეროს განსაზღვრავს და ამასთან ადგენს, რომ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ დარეგულირდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნებით, სურსათის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხებს კი, ეს კანონი და ნარჩენების მართვის კოდექსი მოაწესრიგებს;

- I თავის მე-2 მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზნებსა და ამოცანებს და ადგენს, რომ ამ კანონის მიზანია (1-ლი პუნქტი) სურსათის მიწოდების ჯაჭვის ყოველ საფეხურზე, სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების წარმოშობის პრევენცია, მათი შემცირება და სურსათის შეწირულობის, აღდგენისა და გადანაწილების წახალისება. კანონის ამოცანებს შორის კი ხვდება (მე-3 პუნქტი):
    - ჭარბი სურსათის ბენეფიციარებისთვის მიწოდების წახალისება და უვნებელ სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
    - ჭარბი სურსათის შეწირულობის, გადანაწილებისა და გამოყენების ხელშეწყობა;
    - სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირებისათვის გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
    - უპირატესად, ღარიბი, სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვებისადმი მოწყვლადი ჯგუფების საკმარისი და სრულფასოვანი სურსათით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
    - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეებისათვის ცნობიერების ამაღლების გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების, ხელშეწყობის ზომებისა და პროგრამების განხორციელება.
- I თავის მე-3 მუხლი ისეთ მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტებას ეთმობა, როგორიცაა:
    - სურსათის ნარჩენები/დარჩენილი სურსათი;
    - სურსათის დანაკარგები;
    - ჭარბი სურსათი;
    - სურსათის შეწირულობა;
    - სურსათის გადანაწილება;
    - სურსათის აღდგენა;
    - სურსათის საქველმოქმედო საქმიანობა;
    - სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი.
- კანონპროექტის II თავი მხოლოდ მე-4 მუხლს მოიცავს, რომელიც სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიას ადგენს. ამ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სურსათის ნარჩენების განთავსება იერარქიის ბოლო (მე-6) საფეხურია და მანამდე უპირატესი სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია და მისი შეწირულობა/გადანაწილებაა (1-ლი და მე-2 საფეხურები);
- III თავი მე-5 და მე-6 მუხლებითაა წარმოდგენილი და სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების

პოლიტიკასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს აწესრიგებს. სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების განკარგვის სფეროში განსაზღვრული როლების უმეტესობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროზე მოდის (მუხლი 7). თუმცა, ვალდებულებები დგინდება სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის; სსიპ - შემოსავლების სამსახურისათვის; მუნიციპალიტეტებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის;

— კანონპროექტის IV თავი მე-7-მე-9 მუხლებს მოიცავს და სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პროცედურებს, წესსა და სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობას არეგულირებს. სწორედ ამ თავში დგინდება, რომ:

  - ჭარბი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების პროცესი ხორციელდება სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვების გენდერული და სოციალური განზომილებების გათვალისწინებით;
  - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეს შეუძლია სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს ან უშუალოდ ბენეფიციარს გადასცეს ჭარბი სურსათი შეწირულობის სახით იმ პირობით, რომ სურსათი ვარგისია ადამიანის მიერ მოხმარებისათვის და აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;
  - სურსათის შეწირულობა დაშვებულია სურსათის ვარგისიანობის მინიმალური ვადის - „უმჯობესია გამოყენებული იქნეს“ გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს;
  - სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების სფეროში მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი;
  - კანონის შესაბამისად შემუშავდება სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი);
  - სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეები ვალდებულნი არიან გააუმჯობესონ სურსათის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რათა თავიდან აიცილონ დანაკარგები, ასევე შეამცირონ და აღმოფხვრან სურსათის რეალიზაციის შემდგომი წარმოების, დისტრიბუციის,

მოხმარების, დასაწყობების და მარკეტინგის პროცესში სურსათის ნარჩენების წარმოქმნა.

- V თავი, რომელიც მე-10-მე-12 მუხლებისაგან შედგება და განსაზღვრავს:
  - სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის ძირითად პრინციპებს და ადგენს, რომ სურსათის საქველმოქმედო საქმიანობა - შეწირულების გაცემა და მისი შემდგომი გადანაწილება საბოლოო ბენეფიციარზე შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესით ავტორიზაციის შემდგომ. ამასთან, სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციას ახორციელებს და შესაბამის მონაცემთა ბაზას აწარმოებს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო; სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესი კი, დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით (მე-11 მუხლი);
  - სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკის საქმიანობის პრინციპებს და ასეთად აღიარებული ორგანიზაციის ვალდებულებებს;
  - პასუხისმგებლობის შეზღუდვას შეწირულობის სახით გადაცემულ სურსათზე.
- კანონპროექტის VI თავი კანონპროექტის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღებ ნორმატიულ აქტებს ადგენს (მუხლი 13) და კანონის ამოქმედების ვადებს განსაზღვრავს (მუხლი 14).

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით (პროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია მისი გამოქვეყნებისთანავე, გარდა კანონპროექტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტებისა, რომლებიც, შესაბამისად, მუნიციპალიტეტებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვალდებულებებს უკავშირდება და 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების გაწევა მოხდება მათ უფლებამოსილებათა შესაბამისად: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს; მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს; საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის; საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და მუნიციპალიტეტების არსებული ფინანსური რესურსებიდან, არსებული ადამიანური რესურსების გამოყენებით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების სფეროში მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი. კერძოდ, სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება გათავისუფლდება როგორც მოგების, ისე დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (ჩათვლის უფლებით).

დღესდღეობით, სურსათის შეწირულობა საქველმოქმედო ორგანიზაციაში (გარდა მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო საქველმოქმედო ორგანიზაციისა, რომელიც არ ოპერირებს, როგორც ,,შპს“) ექვემდებარება დღგ-თი და მოგების გადასახადით დაბეგვრას, თუ შეწირულობა აჭარბებს გადამხდელის წინა კალენდარული წლის წმინდა შემოსავალს 10%-ს. რეგულირების ზეგავლენის შეფასების საბოლოო ანგარიშის თანახმად (ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე), საცალო მოვაჭრეები ამ მომენტისათვის

დასახელებულ ფარგლებს მიღმა შეწირულობას არ ახორციელებენ[7]. რაიმე ადმინისტრაციული ხარჯები კონკრეტულად სურსათის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული არ არის, თუმცა სურსათის ნარჩენების ზრდა მოითხოვს ნარჩენების მართვის უფრო მაღალ ხარჯს.

საგადასახადო შეღავათების ამოქმედების შემთხვევაში, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ (დაფუძნებულია სახელმწიფოს 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით), შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ (დაფუძნებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით) და შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიამ“ (დაფუძნებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით) შესაძლოა დაკარგონ შემოსავლები სურსათის გატანა/განადგურებასთან დაკავშირებული, საცალო ვაჭრობის ობიექტების მიერ გაწეული ხარჯებიდან (116₾/ერთი ტონა), როდესაც ამ სურსათის შეწირულობის სახით გაცემა მოხდება, ნაცვლად მისი გადაყრა/განადგურებისა. 2019 წელს მოხდა 1,584 ტონა სურსათის, 2020 წელს - 1,982 ტონა, 2021 წელს კი, 1,685 ტონა სურსათის ჩამოწერა. გავლენის მოცულობა დამოკიდებულია შეწირული სურსათის ოდენობაზე.

ამასთან, კანონპროექტისა და მისგან გამომდინარე/მისი თანმდევი საგადასახადო შეღავათების ამოქმედების შემთხვევაში, სსიპ - შემოსავლების სამსახურმა შესაძლოა დაკარგოს პროდუქციის ჩამოწერის თაობაზე განცხადებებიდან მისაღები შემოსავლები. მომსახურებაზე „ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის დოკუმენტის დადასტურება“ 2020 წელს შემოსავლების სამსახურმა მიიღო 286,840₾ დარიცხული საფასური, 2021 წელს - 352,730₾, 2022 წელს - 434,220₾. გავლენის მოცულობა დამოკიდებულია შეწირული სურსათის ოდენობაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია გავლენა ისეთი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილებისას, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს - ასეთ დროს შესაბამისი პირი ექვემდებარება დაჯარიმებას სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად. წინამდებარე

[7] ISET კვლევითი ინსტიტუტი. 2022. ,,სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობის შესახებ'' კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება. საბოლოო ანგარიში. თბილისი. გვ. 63. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/kevssn29

კანონპროექტის თანმდევი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, ისეთი სურსათის შეწირულობა და გადანაწილება, რომელიც მაღალ რისკს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, გამოიწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამ ქმედების განმეორებით ჩადენა კი, გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. გავლენის მოცულობა დამოკიდებულია ასეთ ქმედებათა რაოდენობაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ახალ ვალდებულებებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სსიპ - საქართველოს შემოსავლების სამსახურისა და მუნიციპალიტეტებისათვის. თუმცა ამას გავლენა არ ექნება სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან, საშუალოვადიან პერიოდში დამატებითი ხარჯების გარეშე (არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსების გამოყენებით) მოხდება კანონპროექტით განსაზღვრულ შემდეგ უფლებამოსილებათა განხორციელება:

- სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების მართვის გენდერულად პასუხისმგებლიანი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;
- სურსათის მიწოდების ჯაჭვში საჯარო და კერძო პარტნიორობის დანერგვის ხელშეწყობა;
- ჭარბი სურსათის შეწირულობასთან, გადამუშავებასთან, შენახვასა და გადანაწილებასთან დაკავშირებული ინკლუზიური და გენდერულად პასუხისმგებლიანი სამართლებრივი აქტების შემუშავება ან/და მათ შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესის შემუშავება და დამტკიცება;

- სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების მონაცემთა ბაზის შექმნის უზრუნველყოფა;
- სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპებისა და სურსათის დანაკარგის შესამცირებლად სახელმწიფო წამახალისებელი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სურსათის შეწირულობის მართვის უზრუნველყოფისათვის სახელმძღვანელო პრინციპების, ან მეთოდური მითითებების, ან რეკომენდაციების ან სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება;
- სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შემცირებასა და სურსათის შეწირულობასთან დაკავშირებით ინოვაციური პროექტებისა და წინადადებების მომზადება;
- სამეცნიერო კვლევების, უახლესი ტექნოლოგიების და ინოვაციების მხარდაჭერა სურსათის დანაკარგებისა და სურსათის ნარჩენების შესამცირებლად, განსაკუთრებით სურსათის ვარგისიანობის ვადებთან დაკავშირებით;
- ცნობიერების ამაღლების გენდერულად მგრძნობიარე ღონისძიებების, ხელშეწყობის ზომებისა და პროგრამების განხორციელება;
- სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის აღრიცხვა ავტორიზაცია და სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების მისი შესაბამის რეესტრში რეგისტრაცია;
- სახელმწიფო კონტროლი სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირთა საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპების ასახვა;
- სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების მდგომარეობის შესახებ გენდერულად სეგრეგირებულ სტატისტიკური კვლევასა და ამისათვის საჭირო წლიური შეფასების სისტემისა და მეთოდოლოგიის შემუშავება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ RIA-ს საბოლოო ანგარიშში მოცემული საჭიროება დამატებითი ადამიანური რესურსის მობილიზაციისა (5 ადამიანი, ხელფასი 1000₾ თითოეულს) სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოში გათვლილია 15-წლიან პერიოდზე და არ იგეგმება საშუალოვადიან პერიოდში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები შემდეგია კონკრეტულ პირთა თუ ჯგუფთათვის:

- ბიზნესოპერატორები, რომლებზეც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება/რომლებიც განახორციელებენ სურსათის შეწირულობას - ისარგებლებენ საგადასახადო შეღავათებით (დაწვრილებით მოცემულია „საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათში) შეწირულობის სახით გაცემულ სურსათზე (დაბალი რისკის) და დაზოგავენ ფინანსურ რესურსს პროდუქციის ჩამოწერაზე. კერძოდ, ისინი მოგების გადასახადით არ დაიბეგრებიან სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდებისას და მათი იგივე ქმედება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით იქნება გათავისუფლებული. გავლენის მასშტაბები და სავარაუდო მოცულობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, შესაბამისი ბიზნესოპერატორების სურვილზე - განახორციელონ სურსათის უსასყიდლოდ გადაცემა და, მეორე მხრივ, შეწირულობის სახით გაცემული სურსათის ოდენობაზე. ამის გასაზომად კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) ანგარიშში გამოყენებულია ინფორმაცია სურსათის საცალო მოვაჭრეების მიერ ჩამოწერილი სურსათის შესახებ (2015-2021წწ).

წელი	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
დაბალი რისკის ჩამოწერილი სურსათის ღირებულება	460,249	668,093	702,047	408,279	1,146,599	1,129,108	787,617

(ლარი წელიწადში)							
დაბალი რისკის ჩამოწერილი სურსათის რაოდენობა (ტონა წელიწადში)	898	866	45,915	1,260	1,584	1,982	1,685

- სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციები (სასადილოთი თუ მის გარეშე) - სარგებელს მიიღებენ სურსათის მიღებიდან და სურსათზე შემცირებული სასურსათო დანახარჯებით. რაც გულისხმობს როგორც მეტ ინგრედიენტს მათ მიერ მომზადებული კერძებისთვის - ისე მეტ სურსათს პირდაპირ ბენეფიციართათვის გადასაცემად (მომზადების გარეშე). ეს შეამცირებს მათ ხარჯებს სურსათის შესყიდვებზე. ეს გავლენა იარსებებს მხოლოდ იმ პირობებში, თუ საკანონმდებლო ინიციატივით შეთავაზებული საგადასახადო შეღავათები იქნება საკმარისი მოტივაცია ბიზნესოპერატორებისათვის შეწირონ სურსათი, რომელსაც ადრე ჩამოწერდნენ/ანადგურებდნენ;
- ბენეფიციარები - უპირატესად, ღარიბი, სასურსათო დაუცველობისა და არასრულფასოვანი კვებისადმი მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ სარგებლის მიღებას სურსათის შეწირულობების გაზრდის შემთხვევაში. გაზრდილი სურსათის უზრუნველყოფა ადამიანებს მისცემს საშუალებას რომ შეამცირონ საკუთარი დანახარჯები საკვების შეძენაზე და პოტენციურად მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ ფინანსურ ტვირთს. ეს გავლენა იარსებებს მხოლოდ იმ პირობებში, თუ საკანონმდებლო ინიციატივით შეთავაზებული საგადასახადო შეღავათები იქნება საკმარისი მოტივაცია ბიზნესოპერატორებისათვის შეწირონ სურსათი, რომელსაც ადრე ჩამოწერდნენ/ანადგურებდნენ;
- შინამეურნეობები - სურსათის ნარჩენების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებმა შეიძლება წაახალისოს შინამეურნეობები უკეთ დაგეგმონ სასურსათო საყიდლები და არაპირდაპირი/ირიბი წვლილი შეიტანონ შინამეურნეობებიდან სურსათის ნარჩენების შემცირებაში.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს გავლენა იმ ბიზნესოპერატორებსა და სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ ავტორიზებულ პირებზე, ვინც

ჩაერთვება სურსათის შეწირულობაში. კანონპროექტის თანახმად, ისინი ვალდებულნი იქნებიან:

- შეასრულონ სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესით დადგენილი მოთხოვნები;
- არ შეწირონ/გაანაწილონ ისეთი სურსათი, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

გარდა ამისა, კანონპროექტით, სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი დამატებით ვალდებულია:

– იხელმძღვანელოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) სისტემასთან გათანაბრებული სტანდარტებით;
– შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა;
– შეიმუშაოს და დადგენილი წესით სსიპ - შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს წლიური ფინანსური ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის შესაბამის ბიზნესოპერატორებსა და სურსათის საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ პირებს შესაძლოა შესაბამისი ხარჯების გაწევა მოუწიოთ. გავლენის მოცულობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, შესაბამისი ბიზნესოპერატორების სურვილზე - განახორციელონ სურსათის უსასყიდლოდ გადაცემა და, მეორე მხრივ, შეწირულობის სახით გაცემული სურსათის ოდენობაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია გავლენა ისეთი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილებისას, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს - ასეთ დროს შესაბამისი პირი ექვემდებარება დაჯარიმებას სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად. წინამდებარე კანონპროექტის თანმდევი, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, ისეთი სურსათის შეწირულობა და გადანაწილება, რომელიც მაღალ რისკს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, გამოიწვევს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე

ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, სხვა ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამ ქმედების განმეორებით ჩადენა კი, გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. გავლენის მოცულობა დამოკიდებულია ასეთ ქმედებათა რაოდენობაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე განხილულია „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ზეგავლენის შეფასების ანგარიშში, რომელიც თან ერთვის განმარტებით ბარათს[8].

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტის გავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე განხილულია „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ზეგავლენის შეფასების ანგარიშში, რომელიც თან ერთვის განმარტებით ბარათს[9].

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

---

[8] „სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საკანონმდებლო ინიციატივის გენდერული ზეგავლენის შეფასების ანგარიში. 2022. თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/3vnzjmab

[9] იქვე.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესი მხარდაჭერილი იყო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით „FAO-ს მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორს ENPARD III-ის ფარგლებში“. ეს გულისხმობდა ადგილობრივი ექსპერტის მონაწილეობას კანონპროექტის მომზადებაში; კანონპროექტის განხილვას დაინტერესებულ მხარეებთან და პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან; სასწავლო ვიზიტს საფრანგეთსა და ბელგიის სამეფოში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადებისას ISET კვლევითი ინსტიტუტის მიერ განხორციელდა ,,სურსათის დანაკარგებისა და ნარჩენების შემცირების, სურსათის შეწირულობის შესახებ“

კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება (თან ერთვის განმარტებით ბარათს). კერძოდ, შეფასდა პოლიტიკის ალტერნატივები (სტატუს ქვო და 3 ალტერნატივა), რომელთა შორის ხვდება ალტერნატივა 1 - წინამდებარე კანონპროექტით (საკანონმდებლო ინიციატივა) გათვალისწინებული მოწესრიგება. RIA-ს საბოლოო ანგარიშის თანახმად, „მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ალტერნატივა 1 არის სასურველი ალტერნატივა, რადგან ის ასოცირდება უმაღლეს ფულად და არაფულად სარგებელთან“.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ხატია წილოსანი, ნინო წილოსანი, გიორგი ცაგარეიშვილი, გოგი მეშველიანი, რამინა ბერაძე, ბექა დავითულიანი, ნინო იობაშვილი, მაია მენაღარიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ელგუჯა გოცირიძე, გელა სამხარაული.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ხატია წილოსანი, ნინო წილოსანი, გიორგი ცაგარეიშვილი, გოგი მეშველიანი, რამინა ბერაძე, ბექა დავითულიანი, ნინო იობაშვილი, მაია მენაღარიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ელგუჯა გოცირიძე, გელა სამხარაული.